№ 120 ივნისი 10, ხუთშაბათი 1893 ივნისი 10, ხუთშაბათი № 120

ГАЗЕТИ ДИРС

თოვე	მან.	კ.	თოვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ გარემოებისა დასაბეჭდად უნდა მიეგზავნოთ: თბილისში, ტ. ... ...

*** ტფილისის გუბენიის სამკუნალოს გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, რომ ტფილისში 15 მაისიდგან 1 ივნისამდე ხუნაგით გამხდარა ავად ერთი, ჩუდ ყვავილით—4, ყვავილით 2. ამავე დროს ჩუდ-ყვავილით გარდაიცვალა—3 და ყვავილით 1.

*** ამას წინად ტფილისის ახალ თეატრის ამშენებელ კომიტეტს აუწყეს პეტერბურგიდგან, რომ ხაზინამ გადასდო 300 ათასი მანათი ამ შენობის დასასრულებლად. ამასთანავე ხუროთმოძღვართ მიიღეს კიდეც 30 ათასი მანათი. მუშაობა უკვე დაიწყო და მომავალ 1894 წლისათვის იმედი აქვთ დაამთავრონ. ეს ხარჯი ხაზინისა შეივსება იმ თანხიდგან, რომელიც თეატრს ეძლევა ყოველ წლივ სუბსიდიად.

*** ბათუმსა და ბაქოს შუა ორთქლმავლის მისვლა-მოსვლის წეს-რიგი შეიცვალა, რის გამოც ერთი დღე გვიანებს ტფილისში ბაქოს კორესპონდენციები. ამისთვის განზრახვა აქვს უბრალო კორესპოდენციები ატაროს სახალხო მატარებელმა.

*** ორშაბათს, 7 მაისს, ტფილისის თულუხჩებმა პირობა შეჰკრეს, ალარავისთვის მიეტანათ წყალი. ეს იმან გამოიწვია, რომ ქალაქის გამგეობამ ასწია წყლის ფასი და ვედრეულ 1/8 კაპეიკი მოუმატა, გარნა თულუხჩებს ისევ უწინდელ ფასად უნდა ეზიდნათ წყალი. ამის გამო თულუხჩებმა საერთო თხოვნით მიმართეს გამ ეობას და სთხოვეს ნიხრი შეეცვალა. ქალაქის გამგეობამ ეს თხოვნა თულუხჩებისა უსაფუძვლოდ ჩაინია და ყურადღება არ ათხოვა. ტფილისის პოლიცმეისტერმა მოუწოდა ყველა ბოქაულებს და განუცხადა: ჩააგონეთ თულუხჩებს, რომ თუ თავის ნებითვე არ დაიწყებენ წყლის ზიდვას, კანონისამებრ დაისჯებიანო. ეს ბრძანება პოლიცმეისტერისა გამოეცხადა თულუხჩებს და 2 საათიდგან ზოგიერთმა დაიწყო ისევ წყალის ზიდვა. ამის გარდა პოლიცმეისტერს მოლაპარაკება აქვს ქალაქის მოურავთან, რომ ქალაქმა თვით იყოლიოს წყალის მზიდველნი, თუ თულუხჩები კვლავ განაგრძობენ, ან განმეორებენ ამ საქციელსაო.

*** ამას წინად გაზ. „Нов. Обозр“-ში იყო მოსენებული, რომ ქედაბეკის ქარხანის მახლობლად შემდგარა ავაზაკთა დასი 9—10 კაცი-

---

ლი და გულ-ნატკენი იყო. აქამდე ქაიხოსროსთან მეგობრობა ჰქონდა, ამბობენ, და მის ჭკუასა და ღირსებას პატივსა სცემდაო. მაგრამ ეხლა-კი ყოველივე შეიცვალა: პუზირევსკი თხოულობდა ქაიხოსროს ამოწყვეტას, „ვითარცა განთქმულის მოღალატისას, შენდობის ულირსისას“,—ნება მომეცით უეცრივ დავეცე შე მოქმედის ციხეს და „ქაიხოსროს მომბრეთა ბუდე“ შევმუსროვო. იგი სწერდა ველიამინოვს: „მითომ და გზების და კარანტინების შესაკეთებლად მე ჯარს შევიყვან გურიაში ნელ-ნელა და უკანასკნელ დრომდე ახოს ვერავინ მოვა.“ მერე მოვითხოვ ქაიხოსროს მოსალაპარაკებლადო და, რაკი ვიცი, არ მოვაო, ხელზედ დასახვევი საბაბიც ეს იქნება იარაღით მივესიოვო.

მართლაც 10 აპრილს (1820 წ.) ქაიხოსრო დაიბარეს ქუთაისში და, რასაკვირველია, არ მოვიდა. მაშინ პუზირევსკი, 13 აპრილს, უცებ მიუხდა შემოქმედს, ცოტა მოშორებით დააყენა ჯარი ტმცირეოდენი ცხენოსან მხლებლებით გასწია ქაიხოსროს გამაგრებულ ციხისაკენ. ციხე ცარიელი დახვდა და გაიგო—რომ რომელღაც მახლობელ სოფელშიაო. ჯარისაკენ უკან მომავალს პუზირევსკის უცაბედად დაატყდა ისეთი უბედურება, რომელმაც სრულიად გააქარწყლა მანამდე შედგენილი ანგარიშები და მთელი აჯანყების საქმე ოკანასკნელამდე გაამწვავა.

მოიდამ რომ ძირს ჩამოდიოდა, პუზირევსკი შეჰხვდა სამს გურულს.

*** ყაზახიდგან აუწყებენ გაზ. „ნორ-დარს“, რომ ამ დღეებში აქ საშინელი სეტყვა იყო და მთლად ჩარეგვა ყანებიო. ამის გარდა მთაში მეხი დასცემია ერთს დედაკაცს.

*** განსვენებულმა პროფესორმა ნ. ო. ემინმა ლაზარევის ინსტიტუტს 10 ათასი მანეთი უანდერძა. ამ ფულის სარგებელი უნდა მოახმარონ სომხურ საეთნოგრაფიო კრებულების გამოცემას, ხოლო თავნი-კი უხლებლად უნდა შეინახოს. ამ ფულით გამოიცა ეხლა „ისტორია სომხეთისა“ მოსე ხორენელისა, რომელიც ნ. ო. ემინის მიერ არის ნათარგმნი რუსულად შენიშვნებითა და დამატებით. ფასი 2 მანათია (323 გვერდი).

Нов. Обозр“.-ს. მიუღია „ანგარიში ნ. ო. ემინის ანდერძის სისრულეში მოყვანისა“. ამ ანდერძით განსვენებულმა 20,000 მანათი შესწირა სხვა-და-სხვა საქველმოქმედო დაწესებულებათ. ხოლო დანარჩენიო—ამბობს ემინი ანდერძში—გადაეცეს სომეხ-მხრითარიანი კონგრეგაციას, რომელიც იმყოფება ვენეციაში წმ. ლაზარეს კუნძულზე. ნ. დ. მიკულინმა და ნ. ლ. სერებრიანკოვმა, რომელთაც განსვენებულმა დაავალა ანდერძის ასრულება, აღმოაჩინეს რომ იმ 20 ათასის გარდა, 3,655 მანათი სხვა კიდევ ჰქონია განსვენებულს. ეს ფული ანდერძისამებრ გარდაეცემა ზემოხსენებულ მხითარისტების კონგრეგაციას.

*** 8 ივნისს კიროჩნის ქუჩაზე ვარნაზოვის სახლში მაკეი ევდოკიმოვმა თავის მოკვლა განიზრახა და კარბოლის სიმჟავე დალია. ევდოკიმოვი სამკურნალოში გაჰგზავნეს და იქვე გარდაიცვალა

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ახალციხე, 4 ივლისი. 30 მაისს აკურთხეს საფარის მონასტრის შესავალში, ალაყაფის კარებთან ახლოს, ძეგლი, რომელიც დაუდგეს სახსოვრად აწ განსვენებულს მორჩილს, ქრისტესია თავთაქიძეს მისის დაუღალავის შრომისათვის საფარის მონატრის სასარგებლოდ. აკურთხეს ძეგლი და პანაშვიდიც გადაიხადეს. სიტყვები წარმოსთქვეს საფარის ბერმა პ. ფაფმა, ვაჭარმა ჯაფარიძემ და პანაშვიდის გადახდის შემდეგ—ეკიმმა გამრეკელმა. დამსწრეთა შორის მომეტებული ნაწილი მახლობელ სოფლებიდამ იყო; ახალ-ციხიდამაც მოსულიყვნენ. ბერმა უამბო მსმენელთ მორჩილის ქრისტესიას თავ-გადასავალი, მოღვაწეობა მონასტრისათვის და მონასტრის ეხლანდელი მდგომარეობა.

ვაჭ. ჯაფარიძემაც მისივე თავ-გადასავალი გვიამბო ყმაწვილობიდამ სიკვდილამდის.

ბ ნ გამრეკელის სიტყვამ უფრო იმოქმედა ხალხზედ და ყურადღებითაც მოისმინეს. ძეგლი თლილის ქვისაა; მაღლა ჯვარი აქვს და წინ ხატი წმიდა საბასი და სტეფანესი, რომლების სახელზედაც არის აშენებული თვით მონასტერი და ერთი ეკკლესიათაგანი. ქვაზედ მისავალიდგან რუსულადა აქვს წარწერა და უკანიდგან, ხრამისკენ—ქართულად. ეს ორივე წარწერა საკვლა გრამატიკულის შეცდომებით, უაზროდ, უშნოდ შეთხზულია და ერთმანეთზედ სიტყვები ისეა გადამბმული, რომ თვითონ გადამწერმაც (ქვაზე ვინც დააწერა) ვერ წაიკითხა და, როცა ჰკითხეს, მაშ როგორ დააწერე, თუ ვერ კითხულობ?—იმან მიუგო: „ასე გადმომცეს დაწერილი და მეც ქვაზე ასე დავაწერეო“. საკვირველია, თუ თითონ არ იცოდნენ, რატომ სხვას—მცოდნეს არ დააწერინეს?!

განსვენებული მორჩილი, ანუ სტეფანე ბერი გარდაიცვალა ბორჯომში და იქვე დაასაფლავეს. საფარში ის იყო ოთხი ხუთი წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში შეაგროვა ოთხი ათასი მანათი, რომელიც ესრედ წოდებულმა „გზის კომიტეტმა“, საეტლო გზას მოანდომა.

ორიოდე სიტყვა თვით მონასტერზედ. საფარის მონასტერი ახალციხიდამ მოკლე გზით ექვს ვერსის სიშორეზეა. ეს იმ ერთ დიდებულ მონასტერთაგანია, რომლებითაც მესხეთი ასე განთქმულია. 1830 წ., როცა მესხეთი თათრების ხელში იყო, ეს მონასტერი კარგად იყო დაცული. ეხლა მონასტერი გულ-საკლავ მდგომარეობაშია. კედლები ბევრგან დაბზარულია, გუმბათი ლამის ჩამოიქცეს. თუ საჩქაროდ არ მიეშველნენ და არ შეაკეთეს, მონასტერი დაინგრევა. მხატვრობა ერთიც აღარ ეტყობა: სულ დასახიჩრებულია, წაშლილია, დაფხაჭნილია და ისე არის დახვრეტილი ნახატები, რომელიც გადარჩენილა წაშლას, და კედლები, რომ მნახველს ეგონება, განგებ ტყვიით და საფანტით დაუხვრეტიათო. წარწერები სულ გაშავებულია. სამრეკლო და სხვა შენობანი ზოგი სულ დანგრეულია და ზოგი ნახევრად ჩამოქცეულია. მონასტერში ერთად-ერთი ბერი-ღაა.

ი—ე გ—ი

— სად არის ქაიხოსრო? ჰკითხა მან ვურულებს.

პასუხად დაიგრიალა სამმა თოფმა და პუზირევსკის გვერდების მეორე მხარეს გაატანეს: იგი უსულო ჩამოვარდა ცხენიდან. მასთან მყოფ ცხენოსან ყაზახთაგან ერთი იქვე აკუწეს, ხოლო ერთი აფიცერი და ერთი ყაზახი ტყვედ შეიპყრეს და ქაიხოსროს მიართვეს, რომელმაც პუზირევსკის მკვლელს თოფი და ხმალი აჩუქო. იქვე მდგომმა ჯარმა გაიგო თოფის გრიალი, მაგრამ წინ ფეხის გადადგმა ვერ გაბედა და ოზურგეთისაკენ დაიხია. ესრე გვაცნობებს საქმეს ოფიციალური მოხსენება. მაგრამ არიან კერძო ცნობანი, რომელნიც სხვა ფერად ხატვენ ამ უბედურებასა, ამბობენ—ჩასაფრების აჩრდილიც კი არსად იყოვო; მაგრამ, პუზირევსკი რომ თხუთმეტის წლის ბიჭსა ეკითხებოდა, ქაიხოსროს სადაობასაო, მათრახი გადუჭირა ზურგში, როგორ თუ უარი გამიბედე და ქაიხოსროს ბინა არ მაჩვენეო. ჭაბუკმა ვურულმა შეურაცხყოფა ვერ მოინელა, თვალის ერთ დახამხამებაზედ გადმოიგდო მხრიდგან ხალთიანი თოფი და იქვე სული გაუფრთხობინაო. ეხლა დაჭეშმარიტებით ვიცით, რომ პუზირევსკის მოკვლაში ქაიხოსროს სრულებით არა ჰრევია; პირ-იქით მისი მოკვლა დიდათაც სწყენოდა, როგორც პატივცემულის კაცისა, მით უფრო რომ ეგ მკვლელობა კეთილს არას დააყრიდა არც ქაიხოსროს და არც მისს სამთავროს, მაგრამ იმ დროს მკვლელობის ბრალი ერთიანად ქაიხოსროს დაადვეს. პუზირევსკის სიკვდილით შეშფოთებული, შემოქმედში დაბრუნებას ვეღარ ჰბედავდა. თუმცა რუსების სამტროდ ხელსაც არა ჰსძრავდა. მაგრამ ეგეც საკმაო იყო; გაჩნდნენ ისეთი კაცები, რომელთაც ქაიხოსროს ქცევა ნამდვილ საბუთად ჩასთვალეს მის დამნაშავობისათვის, აჯანყების მოთავედ დასახვისათვის; და თვით მამიამ, ქაიხოსროს სიკეთით ყელთამდი მოყრილმა, რაკი გონიერ ბიძის გავლენა და მზრუნველობა ეჩოთირებოდა-ემძიმებოდა, პირველმა დაბეზღა ერმოლოვთან, როგორც სახელმწიფო მოღალატე.

პ. ცხვილოელი

(დასასრული იქნება)

ᲒᲣᲠᲘᲐ. არა მგონია საქართველოს რომელსამე სხვა კუთხეში ისეთი კაცი ურთიერთობა არსებობდეს ხანდ-აზნაურთა და გლეხთა შორის, როგორც გურიაშია. აქ ხშირად ჰნახავთ ისეთ გლეხს, რომელსაც აზნაური ქალი ჰყავს ცოლად. აგრედვე არა იშვიათია ისეთი შემთხვევაც, რომ აზნაური გლეხის ქალიან იყოს შეუღლებული. ნათელ-მირონობა ხომ თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის ჩვეულებრივი ამბავია. ყოველ ამის გამო აქაური თავად-აზნაურობა და გლეხობა ჭირსა და ლხინში განუყრელი მეგობრები არიან. თავადაზნაურობას შეგნებული აქვს, რომ გლეხობა ბურჯია მათის ეკონომიურის კეთილ-დღეობისა, რომ თითოეული ლუკმა იმათი გლეხის ოფლით მონაღვაწია. სამაგიეროდ გლეხობაც დარწმუნებულია, რომ თავად-აზნაურობა სარჩლსა და ქომაგობას გაგვიწევს, იქ, საცა ჩვენი ხმალი ვერ გასჭრისო, და ხვ.

როცა ამ ორს წოდებას შორის ასეთი სასურველი ურთიერთობა არსებობს, ნუთუ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ მათ შორის სიყვარულიც და პატივის ცემაც არ სუფევდეს! არა, ეგ შეუძლებელია. მაშასადამე, ყოველი შეგნებული კაცი, თავადი იქნება ის, აზნაური თუ გლეხი, იმას უნდა ცდილობდეს, რომ ამ გვარი ურთიერთობა გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის განმტკიცდეს და განკარგდეს და არა იმას, რომ დაირღვას და განადგურდეს. სხვა არა იყოს-რა, სირცხვილია, უმეცრებაა ბრძოლა წინ-სვლასა და წარმატებასთან. ვისაც წინსვლა და წარმატება არაფრად ეჩანიკება, უმეცარის სახელით მონათვლა მაინც უნდა ეთაკილებოდეს...

სამწუხაროდ ჩვენდა, გურიის ცხოვრებიდამ ერთი ისეთი ამბავი უნდა აღვნიშნოთ, რომელიც ჩრდილს აყენებს თავად-აზნაურთა და გლეხთა ურთიერთობას. ბასილეთის საზოგადოებაში ცხოვრებენ აზნაურნი გოგიბერიძენი, რომელთაც ამ საზოგადოებაში აქვთ ერთი კარგი მოზდილი ალაგი; ამ ალაგზედ, გარდა გვიმბრისა (ჩადუნა), არაფერი არ მოდის. გასუქება და გაპოხიერება ამ ადგილისა შეიძლება, თუ შრომას არ დაიზარებს პატრონი. მაგრამ რად უნდა გაასუქოთ ისეთი ადგილი, რატომ უნდა მიიღოთ შრომა, როცა უშრომლადაც შემოსავალს მოგცემთ! გოგიბერიძეებსაც სწორედ ასე მოუხერხებიათ: უნახავთ, რომ ამ უნაყოფო ადგილებში სოფლის საქონელი დაეხეტება და ბუზებს იგერებს. უთათბირიათ და გადაუწყვეტიათ, რომ ჩვენს

ადგილებში საქონლის ხეტიალს ბაჟი დავადოთ და ამ ბაჟ-კი „საბალახო“ ვუწოდოთო. „საბალახოს“ აღება კანონისაგან ნება-დართულია და აბა გლეხები ამის წინააღმდეგ რას გაგვიბედავენო. გადაწყვეტილება მაშინვე შეუსრულებიათ: აღჭურვილან თოკებით, დაუჭერიათ სოფლის საქონელი და მანამ არ მიუციათ პატრონისათვის, ვიდრე იმდენი ფული არ გადუხდევინებიათ, რამდენითაც გული შეუჯერდებოდათ. მასთან დიდის რიხითა და თავ-მოწონებით გამოუცხადებიათ გლეხებისათვის, რომ ან „საბალახოზე“ შეგვირიგდით, ან თქვენი საქონელი გზად არ გაატაროთ ჩვენს ადგილებშიო.

ჩვენმა გლეხმა, „საბალახო“ რა არას, ჯერ არ იცის, რადგანაც ჩვენში არც ერთ დიდ მემამულეს არ შემოუღია. რასაკვირველია, გლეხებს ამ ახალის ბაჟის სახელი უჩოთირებიათ და ახლა მათ შორის გამართულა რჩევა და თათბირი, რა ვქნათ და როგორ მოვიქცეთო. ბოლოს ერთხმად და ერთ პირად გადაუწყეტიათ, რომ ყოველ გვარი დამოკიდებულება მოვსპოთ გოგიბერიძეებთან, არც ჭირში, არც ლხინში მათთან საერთო არაფერი ვიქონიოთ და არც ჩვენი საქონელი გავატაროთ მათ ადგილებშიო. გოგიბერიძეები ამაზედ „შეფუცხუნებულან,“ ეგ „პუნტიაო“ უთქვამთ და ახლა ხან მაზრის უფროსთან გარბიან და ხან თავად-აზნაურთა წინამძღოლთან, დაიფარეთ ქვეყანა განადგურებისაგან, გლეხები „აპუნტებას“ აპიროობენო. რა თქმა უნდა, ასეთი დაბეზღება გლეხებისა შეწყნარებულ არ იქმნა და არც საფიქრებელია იქმნეს. ასეთი ოინი უიმისოდაც გამწვავებულ საქმეს თუ გაამწვავებს, თორემ არაფერს უშველის. ამას ის სჯობია ისევ სიყვარული და ერთობა ჩამოაგდონ ერთმანეთში, რადგანაც

> წუთისოფელი ასეა:
> ღამე დღეს უთენებია,
> რაც მტრობას დაუქცევია,
> სიყვარულს უშენებია.
>
> ვინც იყოს

P. S. ზემოდ დასახელებულ გამწვავების გამო ერთი კაცის-კვლა უკვე მომხდარა: აზ. გოგიბერიძეს გლეხი გოგიბერიძე მოუკლავს თოფით.

იგივე

ᲔᲒᲖᲐᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝ

სწორედ მაშინ,—როდესაც დედამიწის ზურგი, ზამთრისაგან შესულრული, ფერს იცვლის და ახლდება; როდესაც ყოველ მცენარესა და სულდგმულს სიცოცხლის ძარღვი კვლავ მედგრად ცემას დაუწყებს, აღვიძებს, ათროოლებს, აყვავებს; სიამოვნებისა და მხიარულების გუნებაზედ აყენებს; როდესაც ბუნება მთლად იტაცებს და იმორჩილებს ყოველს ცხოველ, ორგანიულს არსებას, იწვევს ყველას თავის ქვეყნიურის დანიშნულების აღსასრულებლად,—სწორედ ამ დროს, გაზაფხულზედ, ჩვენს მოსწავლე ბავშვებს ჭაპან-წყვეტის დღე ადგიათ.

გაზაფხულია ეგზამენების დროდ დანიშნული ჩვენს სასწავლებლებში, და, ყოველი მოსწავლე ახალგაზდა უნდა ებრძოლოს თვის ბუნებას, სძლიოს აგებულების მოთხოვნილებანი, და სიამოვნების ნაცვლად, სადმე მიეკუნჭოს და იმ დროს მისთვის საზიზღარი წიგნი იზეპიროს. თავის კუნჭულიდგან ცალის თვალით უმზერს ბუნების განახლებას, და თვითონ-კი ვერ ჰბედავს საერთო მხიარულებაში წილი დაიდოს, არ შეუძლიან თავის გულის წადილს აჰყვეს, თუ არ უნდა თავის-თავის შერცხვენა და მშობლებისა და გულის-შემატკივართა გამწარება. ძალა-უნებურად ეგზამენისთვის უნდა მოემზადოს, თუმცა ამ დროს თავში არა ჩასდის-რა და სულ სხვა გვარი სურათები ეხატება, რომლებსაც წიგნთან არავითარი საზიარო არა აქვთ-რა.

სწორედ სამწუხაროა ეს შეუსაბამო, ბუნების წინააღმდეგი, ჯან-მრთელობისათვის მავნე და კაცობრიობის გამათახსირებული მოვლენა.

როგორც ყოველი მცენარე გაზაფხულზედ ყლორტს გამოიტანს, გაიფოთქება, ტანს აიყრის, ისე ბავშვსაც და ყოველ სულდგმულს, საზოგადოდ, სწორედ ამ დროს, უგანიერდება ძარღვიც, ძვალიც და ხორციც, სწორედ მაშინ იზრდება. იმის მაგიერ რომ ჩვენ ეს ბუნების კანონი შევიგნოთ და ბავშვის ზრდას ხელი შევუწყოთ, ჩვენ, პირაქით, მძიმე ტვირთსა ვკიდებთ ბავშვს და ვახშობთ, სწორედ ისე როგორც ახლად ამოსულ, ნორჩს მცენარეს, გარშემო მიწის შემოფხვიერების მაგიერ, დიდი ლოდი დავადოთ და დავახშოთ.

პედიატრებმა დაურღვეველ საბუთებით დაამტკიცეს, რომ გაზაფხულზედ მოსწავლე ბავშვი ვერც იზრდება ისე, როგორც რიგია, და ტანის სიმძიმეც აკლდება. ერთს შვეიცის სასწავლებელში სამის წლის განმავალობაში სწონავდნენ თურმე მოსწავლეებს და, აი, რა აღმოჩნდა: ზამთარში მოსწავლე ბაშვმა იმატა 162 კილოგრამში, ზაფხულში—297, შემოდგომაზე—293 და გაზაფხულზედ-კი იკლო 62 კილოგრ.

სულის მოძრაობა რასაკვირველია, ძნელი გამოსაკვლევია, მაგრამ ის-კი ცხადია, რომ ბავშვი გაზაფხულზედ უფრო მგრძნობიარეა, სიმხიარულე ემატება, მეტის-მეტ აღტაცებაში მოდის; გულ-ჩვილია, მორჩილია, ყველაფერზედ დაიყოლიებ. ამდროს ადვილია ბავშვის ზნეობის განკარგება, კაცთ-მოყვარეობის შთანერგვა, თუ რიგიანი აღზდელი ეყოლება.

გამოცდილმა მასწავლებელმა იცის, რომ გაზაფხულზედ მოსწავლეთა ყურადღებას ვერა საგანი დიდხანს ვერ მიიზიდავს, ერთისაგან მეორეზედ სწრაფად გადარბის; ნიჭიერი მოსწალეც-კი ხშირად გონება-დაფანტულია, აღარა ესმის-რა გაკვეთილისა, ველარა შეუთვისებია-რა და, თუ მასწავლებელმა ბავშვის ტვინს ძალა დაატანა, თვით უწყნარესი მოსწავლეც-კი ბრაზიანობს, კაპასობს, სტირის და აღარავის ემორჩილება, თვითმნებლობს. ეგზამენები ხომ მოსწავლესათვის სწორედ ცეცხლია, ნავთდასხმული.

იმის გარდა, რომ ამ ნაძალადევის სწავლით ბავშვს ზნე-ხასიათი უფუჭდება, არც თუ სწავლის მხრივ არის გაზაფხულის ეგზამენები სასურველი. აჩქარებულად შესწავლილი და გაზეპირებული მხოლოდ ეგზამენებამდე მიჰყვება ბავშვს და მერე ადვილად ავიწყდება, შემდეგისათვის აღარა რჩება-რა; შემოდგომაზედ რომ ჰკითხონ მოსწავლეს სწორედ ის, რაც ეგზამენების დროს კარგად მიუკო, მეათედსაც ველარ მოიგონებს.

ამისათვის მეტად საჭიროა ძველს წესს, მავნებელ ჩვეულებას დაუყონებლივ გზა აეკეცეს და მოსწავლეთა გამოსაცდელად, გაზაფხულის მაგიერ, სხვა დრო დაინიშნოს. ევროპაშიაც და რუსეთშიაც აღიძრა ეს საკითხი და, იმედია, მალე სასურველად გარდასწყდება.

Sch.

ᲙᲠᲔᲑᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ.

კვირას, 6 ივნისს, ქალაქის საკრედიტო საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება იყო დანიშნული.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ქალაქის მოურავად ნამყოფი ა. ს. მატინოვი.

კრებას პირველად მოხსენდა, რომ საზოგადოების მმართველობის მიერ მოწვეული არის 11 კანდიდატი, წევრთა—რწმუნებულთა მაგიერ, რომელთაც სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო წევრის უფლება დაეკარგათ. პ. ა. გურგენბეკოვმა გაჰყიდა საზოგადოებაში დაგირავებული მამული და ამის გამო წევრადაც აღარ უნდა ითვლებოდესო, თუმცა ზედამხედველი კომიტეტი ამას არ დაეთანხმა, პ. გურგენბეკოვი ერთის მამულის აპეკუნად ითვლება და ხმაც იმიტომ უნდა მიეცესო. ვ. გ. შანშიევი ვექილია საზოგადოებისა, ჯამაგირს იღებს და, წესდების ძალით, კრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებსო. ზედამხედველი კომიტეტი ამაზედაც არ დაეთანხმა მმართველობას: შანშიევს შეიძლება ვექილობის უარი ეთქვას, ხოლო წევრობის უფლებას-კი ვერ ჩამოვართმევთო. ზ. პ. გრიქუროვის მამული, რომელიც საზოგადოებაში დაუგირავებია, არსად აღმოჩნდა, ვეძებეთ და ვერ ვიპოვნეთო. არც ამაზედ დაეთანხმა ზედამხედველი კომიტეტი და ამ გარემოების გამოსარკვევად თვით ზ. გრიქუროვმა ილაპარაკა. ის მამულიო (ამატუნისეული), სთქვა ზ. გრიქუროვმა, რომელზედაც ლაპარაკია, მე ვიყიდე თვით საზოგადოებისაგან საჯაროდ დანიშნულ ვაჭრობითა 1886 წელსაო. პლანიცა და სხვა ამ მამულის მფლობელობის ქალაქდები, მეგონა, თქვენ გექმნებოდათ და თურმე-კი არაფერი გქონიათ და არც გცოდნიათ, თვით მამული სად არისო. მე რომ მთხოვთ ქალაქდების წარმოდგენას, საიდგან უნდა გავაჩინო, ჯერ მომეცით და და მერე მომთხოვეთო. 1886 წლიდგან მამულის ვალის გარდასახადი ყოველთვის თავ-თავის დროზედ შემომქონდა, ვფიქრობდი, ოდესმე ხომ გადმომცემენ მამულს, და ეხლა მეუბნებიან, ხმა არა გაქვსო. მაშრალაში მართმევდით ამდონ ხანს ფულსაო.

ზედამხედველ კომიტეტს ამ წევრთა უფლების გამოსარკვევად მიუწვევია ნაფიცნი ვექილნი: გ. გ. ევანგულოვი, გ. ს. ტერ-სტეფანოვი და პ. ა. ოპოჩინინი. იმათ უთქვამთ, რომ კანონით არ შეგიძლიანთ წევრობის უარი უთხრათ ზემოდ აღნიშნულ პირთაო.

ხანგრძლივის კამათობის შემდეგ ამ საკითხის გარდასაწყვეტად კრებამ კენჭის ყრა ინდომა და ყუთები დაადგმევინა. პ. ა. გურგენბეკოვს ამოუვიდა 26 თეთრი (წევრად დარჩესო) და 19 შავი; ვ. გ. შანშიევს—26 თეთრი და 19 შავი; ზ. გრიქუროვს—22 თეთრი და 23 შავი. ამ რიგად წევრთაგან გამორიცხულ იქმნა მხოლოდ ზ. გრიქუროვი.

კენჭის ყრითვე გარდასწყვიტეს, რომ კანდიდატების მოწვევა წევრთა—რწმუნებულთა მაგიერ უკანონო არისო.

ამას შემდეგ თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ ზედამხედველი კომიტეტის ყველა წევრნი თანამდებობისაგან განთავისუფლებას თხოულობენო. წევრი კომიტეტისა ლ. შ. მელიქ ბეგლაროვი დათხოვნის მიზეზად იმას ამბობს, რომ მე მინდოდა, შეძლების კვალად, სამსახური გამეწია საზოგადოებისათვის, მაგრამ კომიტეტის წევრნი ვერ შევთანხმდით და ჩემი აქ ყოფნა სრულიად უნაყოფოდ ჩაივლისო.

უარი განაცხადა დირექტორობისა მ. როტინიანცმა; რადგანაც ეხლანდელი მმართველობა უკანონოდ იქცევა, მე საზოგადოებას სამსახურს ველარ გაუწევო.

უარი სთქვა აკრედვე დირექტორობისა პ. გურგენბეგოვმა და სთხოვა თავმჯდომარეს მისი ქალალდი წაეკითხათ. კითხულობენ: „მმართველობის დირექტორმა თ. ვ. ბებუთოვმა ნაკლებად იცის ანგარიშის საქმე და ამიტომ არ შეუძლიან ხელმძღვანელად იყოს საქმეთა წარმოებაში და რადგანაც კეთილის გულისაა“. აქ კითხვა შესწყვიტეს და ქალალდის შინაარსი აღარ მოხსენდა კრებას.

ლ. ისარლოვი ამბობს, კარგად მოქცეულან მმართველობის წევრნი, რომ დათხოვნის ქალალდი მოუციათ, თორემ ჩვენ უნდა დაგვეთხოვაო.

ვ. გ. შანშიევმა განუცხადა, რომ თ. ნ. ი. ამატუნიც გთხოვთ თავმჯდომარის თანამდებობისაგან გაანთავისუფლოთო; ეს მე პირად დამაბარა და ქალალდს შემდეგ მოგართმევთო. ნ. ტიგრანოვმა სთქვა, რომ პატიმარის მიერ თხოვნის შემოტანა და ისიც პირად, სამსახურისაგან განმათავისუფლეთო, თავხედობაა, უადგილო და უკანონო. აქ განთავისუფლებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, კრებამ თვითონ უნდა დაითხოვოსო.

გ. ევანგულოვი იმ აზრისაა, რომ ეხლა დაითხოვონ თ. ამატუნი, თუ ორის კვირის შემდეგ—სულ ერთიაო.

ნ. ტიგრანოვი არ ეთანხმება: ხვალ რომ გაანთავისუფლონ და ისევ თავმჯდომარის უფლებით თავს წამოგვადგესო!..

კრებამ შეიწყნარა ყველა თხოვნა სამსახურიდგან დათხოვნის შესახებ.

(დასასრული იქნება)

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ დღეებში დაინიშნა ფინანსთა მინისტრის ამხანაგად ბ-ნი ანტონოვიჩი, რედაქტორი გაზეთისა „Кіевское Слово“. ბ-ნი ანტონოვიჩი ქურნალისტია და უფრო ხშირად სწერდა საფინანსო-საეკონომიო წერილებს. ამ გარემოებამ მიიქცია ყურადღება მთავრობისა და უბრალო კაცს, რომელსაც არც ჩამომავლობა, არც პროტექცია და არც დიდი გვარისშვილობა ხელს არ უწყობდა, დღეს უმაღლესი თანამდებობა ჩაჰბარდა. ამ გარემოების გამო დიდი ლაპარაკი აქვთ დღეს რუსეთის გაზეთებს, რომელთა უმეტესი ნაწილი სიხარულით მიეგებოდა ბ-ნ ანტონოვიჩს—ფინანსთა მინისტრის ამხანაგად დანიშვნას.

გაზ. „Нов. Время“ ამბობს, რომ პეტერბურგის მაღალი საზოგადოება ძალიან გაიოცებს ამ ამბავს, მაგრამ, რას იზამთ,

> როდესაც ერთად-ერთი უფლება დაბალის გვარის კაცისა არის უფლება განათლებისა, ნიჭისა და შრომის მოყვარეობისა. ამისთანა უფლებას რომ პატივი სცე, განა ცოდვაა? ასეთი უფლება წინ ეღობება და ჭირგუნავს უმეცრებას, უნიჭობას, მუქთა-ხორაობას, სიზოლოკის მოყვარეობას, ოფიციალურად დაიფაროს მდაბიო გვარის კაცისაგან უფლება უმეცრებისა, უნიჭობისა და მუქთახორაობისა, თუნდა უფლება იგი სცდილობდეს დაეფაროს დიდ სიცნობობას, სათესაობასა და გვარიშვილობაზე.

თუნდაც რომ მოუვიდეს ვისმე ფიქრად,

> მაინც ვერას გაუწყობს. განიცადეთ, როგორ მიდის წინ მდაბიო გვარის კაცი, მიუხედავად იმ დაბრკოლებათა, რომელსაც წინ უყენებენ სარისასაკეთ, და მიხვდებით, რომ მომავალი უფრო ამ „დეკნილ“ მდაბიო კაცს ეკუთვნის, ვიდრე იმათ, ვინც „რაზნოჩინეცს“ სდეკნის და ვინც ყოველ ღონითა სცდილობს, წინ არ გაუშვას.

ათასი ეცადონ, „რაზნოჩინეცი“ მაინც წინ წავა და დამკვიდრდება სახელმწიფო კიბის თავშიო, იმიტომ რომ

> წინ მიდის მართლა „რაზნოჩინეცი“ და მდაბიო გვარის კაცი-კი არა, წინ მიდის განათლება, ნიჭი, შრომის მოყვარეობა. ყოველივე ესე დღითი-დღე უფრო მეტად და მეტად უჭირს ჩვენს სახელმწიფო ცხოვრებას, რადგან დრო ისეთი დადგა, რომ განათლებულს სახელმწიფოს არ შეუძლიან საქმეებს გაუძღვეს, თუ მართლა განათლებულნი, ნიჭიერნი და შრომის მოყვარე მოხელენი არა ჰყავს. წინად ბირველ-ხარისხოვანი მოხელე, დიდებული კარის-კაცი, ბატონი იყო. ეხლა ბატონი-კი არ არის, უბირველეს ყოველისა მუშაკია. ხოლო კარგი მუშაკი ის-კა არ არის, ვინც უფრო ძრიელ გაიბერება და გაიბღინძება, არამედ ვისაც უფრო მეტი ცოდნა აქვს, მეტი ნიჭი, შრომის მოყვარეობის უნარი, ესე იგი, ყოველივე ის, რაც წინა სწევს დღეს „რაზნოჩინეცს“.

რაზნოჩინეცის საქმე იმანაც ნაგლებად არ გაუკეთა, რომ უგულოდ ეკიდებოდნენ. რაზნოჩინეცმა იფიქრა, ხომ ფეხსაც არ გადამდგმეინებენ წინ, თუ თავი არ გამოვიჩინე ან ცოდნით, ან შრომითაო, და დაიწყეს სწავლა, შეძენა ცოდნისა, განმახვევა და გამდიდრება გონებისა. ამ სახით ნიჭი, ვისთვისაც კი ღმერთს მიუცია, უფრო და უფრო ძლიერდება, ფართოვდება, თუ-კი ერთხელ და ერთხელ კაცი პატარა რიგიანს ყოფაში ჩავარდა. ბევრს მწარე სამსალას ასმევს ცხოვრება, გზა-გზა, ნიჭიერს რაზნოჩინეცს, ბევრჯელ იდასება მისი თავ-მოყვარეობა, მაგრამ თვით ეს სიმწარე ცხოვრებისა და ეკლებით ჩხვლეტა მისდა სასარგებლოდვე თავდება, რადგან ნება არ აძლევს მოისვენოს, მიიძინოს, როგორც მიიძინებს ხოლმე ის, ვინც ადვილად იმარჯვებს ცხოვრებაში.

ერთის სიტყვით, მოკლედ რომ
ᲒᲬᲠᲐᲗ, ასე გამოდის:
მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
ᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡ-ᲪᲒᲛᲐ—ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲡ;
ᲜᲘᲭᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲖᲔᲜᲐ ᲙᲐᲪᲡ,
ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ბიუჯეტის განხილვას კომისია 8 ივნისამდე გაათავებს. 13 ივნისს დეპუტატთა პალატა დაიწყებს განხილვას 1894 წლის ბიუჯეტს და გაათავებს ამ საქმეს 2 ივლისამდე. ივლისის ნახევრამდე სენატი მოუნდება ამ საქმეს და სესსიაც გათავდება. ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ დამდეგს დეპუტატები დაიშლებიან აქეთ იქით საარჩევანო მოძრაობისათვის. არჩევანები დაიწყება ან სულ ადრე, 20 აგვისტოს, ან სულ გვიან, 8 ოქტომბერს, ანარა ამ ვადათა შორის.

— ამ დღეებში აკადემიკოსობაზე ეს კენჭი კრიტიკოსმა ფერდინანდ ბრუნეტიერმა და რომანისტმა ზოლამ. არჩეულ იქმნა ბრუნეტიერი. ახალი აკადემიკოსი ტალანშია დაბადებული 1849 წელს, მაშასადამე, 44 წლისაა დღეს. 1886 წელს დაარსებულ იქმნა ფრანგულის ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად უმაღლეს ნორმალურს სკოლაში. ეს მდებობა დღესაც უჭირავს. ბრუნეტიერი მონაწილეობას იღებს აგრეთვე ამ ლექციების კითხვაში, რომელიც სორბონაში იმართება ხოლმე. დღესაც ეს შესანიშნავი კრიტიკოსი კითხულობს ასეთს ლექციებს პოეზიის შესახებ—განვითარება ლირიკულის პოეზიისა მე-XIX საუკუნეში. შესანიშნავი მისი ნაწერებია: „კრიტიკული ეტიუდები საფრანგეთის ლიტერატურისა და ლიტერატურის ისტორიის შესახებ“, „ლიტერატურა საფრანგეთისა შუა საუკუნეებში“, „პასკალი“, „ნატურალისტური რომანი“. ეს უკანასკნელი თხზულება ლირსი შეიქმნა აკადემიის პრემიისა. ამათ გარდა მრავალი სხვა წერილებია დაბეჭდილი ბრუნეტიერისა „რევიუ დე დემონდში“. სხვათაშორის საინტერესოა მისი გარჩევა ეჟეს ფსიხოლოგიურის რომანისა „შუკირდი“.

წვრილი ამბავი

15—25 ივლისს პარიკის „თავისუფალ სულოვნებათა დარბაზში“ მოსდებს „მოუცებულთა შეკიბრება“. ამისათვის „Science médicale“-ის რედაქტორები აგზავნენ პარიკში საფრანგეთის ყველა კუთხეებიდან მოხუცებულებს, ქალსა და კაცს, ერთ-ერთ, ოცდ ნაკლებ 90 წლისას. ამ კომიტეტი თვითონ კისრულობს მგზავრობის ხარჯს და ჭმირდება აგრეთვე, ყველას საკუთარ ოთახში მოასვენებს და ფაქიზად და ნებიერად შეინახავს. „გამოფენაზედ“ სამ-სარისხოვანი მედალია დანიშნული: ერთი ღრმად მოხუცებულობისა, ერთი მხნეობა-ჯან-საღობისა და ერთიც ზეკა-მახვილობისა. ამის გარდა დანიშნულია ჯილდოდ 500 ფრანკი ამისთვის, ვისაც ჯანის სიმრთელე და სახის გამომეტყველება არ ეთანხმება მისს ხნეერებას.

ამ შემთხვევის გამო გვაგონდება რომ 1886 წელს, როდესაც საფრანგეთში ხალხის აღრიცხვა იყო, მთელ საფრანგეთში 80 მოხუცებული აღმოჩნდა ასის წლისა და მეტისაც. ამათში 42—100 წლისა, 15—101 წლ.; 7—102 წლ., 6—103 წლ., 5—104 წლ., 3—105 წლ., 1—112 წლისა და ერთიც 116 წლისა. შესაძლებელია ის გარემოებაც, რომ მომეტებული მათგანი პირინეის დეპარტამენტებიდგან იყვნენ.

— ბერმანგამში 4 მაისიდგან ერთი მანიაკი გამოჩნდა. დადის თურმე ქუჩაში და კინტ კარგად მორთულ-მოკაზმული ქალი შესვდება იქაკე სულს გაუთოხობინებს. ერთი გრძელი ფოლადის შპილკა აქვს თურმე და თავის მსხვერპლს შიგ გულში დაუძგერებს. პოლიციამ თუმცა დაწერილებით იცის მისი ვინაობა და სახის აწერილობა, მაგრამ ჯერ ვერ შეიპყრო. ამას წინად პოლეოვნიკ ვოლკინსონის ქალს დაეცა თავს, მაგრამ ქალმა ზონტიკით მოიგერია თურმე.

— საფრანგეთის ერთმა ცნობილმა პუბლიცისტმა გამოსცა პარიკში ბროშურა „Braël chez Hations“, რომელშიაც იგი ემხრობა და ესარჩლება ებრაელებს, და ანტი-სემიტების წრეს გადასულ მოქმედება-პროპაგანდასა ჰკიცხავს და ეწინააღმდეგება.

— პრინც გეორგის საქორწილოდ საზოგადოებათა პალატის წევრთ განიზრახეს დაამზადონ რაიმე ძვირფასი საჩუქარი და კერძოდ თავის სახელით მართვან გერცოგს იორკისას. 5,000 მანთია უკვე შეგროვილი. ამ ფულითა სურთ შეუკეთონ მინაქრის შანა, ბრილიანტებით მოჭედილი და ზედ ამოაკრეკინონ „ჯორჯ“. პრინცს შეუძლიან ეს შანა ლენტით გულზედ ატარონ, როგორც ატარებს მენდალს წმ. გიორგისას.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. გამოცხადებულია დებულება მოვახშეთა ბოროტ-მოქმედობის დევნისა.

Новое Время-ს სარწმუნო წყაროდამ შეუტყვია, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაკეთება უკვე გარდასწყდაო; ამის პროექტი განხილულ იქმნება სახელმწიფო საბჭოს-მარ მომავალ სესსიაში სახელად ეწოდება—მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო. უმთავრესი ცვლილება ის იქმნება, რომ დაარსდება სამეურნეო რჩევა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ დახელოვნებულნი მეურნენი მიწვევისამებრ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. გვალვის გამო დიდძალი ხორცეულობა მოზიდეს ლონდონის ბაზრებზე. საკვების უქონლობის გამო ჰხოცავენ საქონელს. ინგლისის თივა ღირს 7 გირვანქა სტერლინგი ერთი ტონნი, კანადისა—5 გირვანქამდე.

9 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. კანონ-მდებლობის წესით დამტკიცდა პროექტი ციმბირის გზის გამგეობის დაარსებისა.

სახელმწიფო საბჭოს წარუდგინეს წესდება საზოგადოებისა, რომელსაც აზრადა აქვს ჰმართოს ლექციები ხალხისათვის ტამბოვსა და ტამბოვის გუბერნიაში.

უკანასკნელი კრება მინისტრთა კომიტეტისა იქნება 28 ივნისს.

ᲩᲘᲙᲐᲒᲝ. დღეს გაიმართა სამხატვრო სექცია გამოფენის რუსეთის განყოფილებისა; გამოფენილია მრავალი სურათები, რომელიც ფრიად სასიამოვნო სანახავია.

ᲕᲔᲜᲐ. დღეს იყო უკანასკნელი კრებანი ორივე დელეგაციისა. გრაფმა კალნოკიმ დაითხოვა ავსტრიის დელეგაცია იმპერატორის სახელით, ხოლო ვენგრიის დელეგაცია დაითხოვა მინისტრმა კალლაიმ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ.

	ᲫᲕᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ.	ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ.	ᲑᲐᲣᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ.
	ᲛᲐᲜ. Კ.	ᲛᲐᲜ. Კ.	ᲛᲐᲜ. Კ.
ᲠᲣᲡ-ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲥᲠᲝ	7,56	7,59	— ,,
ᲞᲢᲐᲛᲝᲣᲜᲘᲡ ᲙᲣ�პᲝᲜᲔᲑᲘ	151	151¾	— ,,
ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲕᲔᲠᲪᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ	1,02	1,04	— ,,
5% ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲑᲘ ᲜᲘᲚᲘᲗᲘ	— ,,	— ,,	247
—ᲛᲔᲝᲠᲔᲡᲘᲡ	— ,,	— ,,	224¼
4% ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ.	— ,,	— ,,	— ,,
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲑᲘ. ᲞᲣᲠᲪᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲐᲒᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ:	— ,,	— ,,	194½
6%	— ,,	101	— ,,
5%	— ,,	100¼	— ,,
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ 6%	— ,,	101	— ,,
5%	— ,,	100¼	— ,,
5% ᲝᲑᲚᲘ�გᲐᲪ. ᲤᲘᲤᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ	98	— ,,	

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲜᲘᲒᲕᲖᲘᲡ
ᲗᲛᲘᲡ ᲡᲐᲚᲘᲔᲑᲐᲕᲘ
Ვ. ᲕᲔᲜᲔᲡᲘ.
Ქ. ᲕᲔᲜᲐᲨᲘ.

ᲣᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲐᲛᲐᲚᲘᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲗᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲔᲠᲘᲡᲐ ᲨᲐᲕᲐᲓ, ᲥᲔᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲬᲐᲑᲚᲘᲡ-ᲤᲔᲠᲐᲓ. ᲤᲚᲐᲙᲝᲜᲘ ᲚᲘᲠᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ 3 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
Ვ. ᲐᲣᲠᲘᲰᲢ,
С.-Петербургъ,
Колокольная 18.

(6—2)

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲐ
„ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲐ“
ᲚᲘᲗᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ
ᲪᲣᲓᲘᲡ ᲡᲣᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲮᲝᲑᲘ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ

ნება-დართულია პეტერბურგის ექიმთა გამგეობისაგან. ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიებში. ბლომად დაკვეთა შეიძლება

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ
ᲡᲐᲢᲔᲡᲜᲘᲙᲝ ᲥᲘᲛᲘᲣᲠ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

С.-П.-Б. площ. Александринск. театра, 9.
Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲞᲘᲠᲒᲐᲜᲘ

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲯᲐᲕᲔᲜ ᲔᲥᲘᲛᲜᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ:

Ბ. Ს. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

Ე. Მ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

Დ. Გ. ᲠᲣᲓᲒᲝᲕᲡᲙᲘ, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

Ი. Ფ. ᲞᲠᲝᲢᲐᲡᲝᲕᲘᲩᲘ, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

Მ. Წ. ᲥᲐᲜᲐᲜᲝᲕᲘ, 12½—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

Ს. Ძ. ᲙᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲙᲘ, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲠᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ:

Ს. Მ. ᲤᲣᲒᲘᲜᲝᲕᲘ, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

Ი. Გ. ᲩᲔᲑᲣᲠᲙᲝᲕᲡᲙᲘ, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

Ს. Ს. ᲒᲐᲓᲝᲛᲡᲙᲘ, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

Ბ. Ს. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 7—7½ საათამდის.

Ე. Ი. ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲣᲡᲘ, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ᲜᲣ ᲣᲘᲓᲣᲚᲝᲒᲝ ოლეო-ვაზელინის საპონს ᲠᲝᲘᲐᲚ-ᲙᲝᲜᲒᲝ

რომელსაც ვასაფრთხილებელი ნიშნები არა ჰქონდეს ვამომგონებისაგან

Ე. ᲑᲝᲓᲚᲝ ᲓᲐ ᲙᲝ ᲡᲐᲕᲐᲜ

ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲥᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲝᲜᲘᲡ!

ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲥᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲝᲜᲘᲡ!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘᲐ!

საპონი ოლეო-ვაზელინი, ტოპილობრისი.

ფაბრიკა: Москва, 3-я Мѣщнская, д. № 49. магазинъ: китайскій проѣздъ, д. Хлудовыхъ.

იყიდება ყველა საუკეთესო პარფიუმერიის და საფთიაქო მაღაზიებში. (4—2)

ᲡᲐᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲭᲘᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘᲡᲐ ᲡᲔᲢᲧᲕᲘᲡᲐᲕᲐᲜ

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡᲐ, ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐ, ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡᲐ, ᲡᲕᲘᲘᲡᲐ, და ᲑᲐᲛᲑᲘᲡ ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება ᲪᲐᲚᲙᲔ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ყოველ ზემოხსენებულის ᲡᲔᲢᲧᲕᲘᲡᲐᲕᲐᲜ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საგენტოს, რომელიც იმყოფება ვერლიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—42) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაკი

Доз. ценз. Тифлисъ, 9-го Іюня 8913 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ